N 04/423
02.05.2024

ბრძანება

423-01-4-202405021757

გადაწყვეტილება

შპს „ლოლუ გრუპის“ (ს/ნ 404649635) 2024 წლის 21 თებერვლის საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივნის პოზიცია

2024 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) შპს „ლოლუ გრუპის“ (ს/ნ: 404649635) (შემდგომში - „მომჩივანი“) მიერ წარმოდგენილ იქნა საჩივარი (რეგ. N01/1021) შპს „ნამი 8“-ის (ს/ნ: 405514019) (შემდგომში - „მოპასუხე“) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

საჩივარში შპს „ლოლუ გრუპი“ მიუთითებს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი შპს „ნამი 8“ მის წინააღმდეგ აწარმოებს ცრუ და ცილისმწამებლურ კამპანიას, რასაც შეცდომაში შეჰყავს შპს „ლოლუ გრუპის“ მომხმარებლები და პარტნიორები. კერძოდ, მომჩივნის განცხადებით, მოპასუხემ ე.წ. „სარეკომენდაციო გაფრთხილება“ გაუგზავნა მის მომხმარებელ/პარტნიორ კომპანიებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „ლოლუ გრუპი“ არღვევს მოპასუხის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. მომჩივანს საჩივარზე დართული აქვს შესაბამისი „სარეკომენდაციო გაფრთხილების“ წერილი[1].

მომჩივანი განმარტავს, რომ შპს „ნამი 8“-ის მიერ ზემოთ აღნიშნული „სარეკომენდაციო გაფრთხილების“ წერილი გაგზავნილ იქნა შპს „ლოლუ გრუპის“ პარტნიორებთან (მომხმარებლებთან), კერძოდ, მომჩივნის მითითებით, შეტყობინება გაეგზავნა შემდეგ კომპანიებს -

“.

შპს „ლოლუ გრუპი“ საჩივარში მიუთითებს, რომ მომხმარებლებთან გაგზავნილ წერილში მითითებული ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის თაობაზე არ წარმოადგენს სიმართლეს. კერძოდ, მოპასუხე საერთოდ არ ფლობს საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებულ უფლებებს ინტელექტუალური

[1] სააგენტოში 2024 წლის 21 თებერვალს წარმოდგენილი საჩივრის (რეგ. N01/1021) დანართი N1

საკუთრების დაცვის რომელიმე ობიექტზე. შესაბამისად, მოპასუხის განცხადება, რომ მომჩივანი მის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს არღვევს, წარმოადგენს სიცრუეს.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ ზემოთ მითითებული ინფორმაციის გავრცელება მომხმარებლების წინაშე წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას და მისი მიზანია ზიანი მიაყენოს შპს „ლოლუ გრუპს“ და გაუფუჭოს მას საქმიანი ურთიერთობა პარტნიორ კომპანიებთან (მომხმარებლებთან).

მომჩივანის მითითებით, „სარეკომენდაციო გაფრთხილებაში“ შპს „ნამი 8“-ის მიერ, ასევე, აღნიშნულია, რომ იგი შპს „ლოლუ გრუპის“ წინააღმდეგ აწარმოებს სამოქალაქო დავას ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივანს სასამართლოს წინაშე დაყენებული აქვს შუამდგომლობა საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან არ არსებობს დავის საგანი, ანუ შპს „ნამი 8“-ის სახელზე საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლება.

მომჩივნის მითითებით, არაკეთილსინდისიერი ქმედებით მოპასუხე შპს „ნამი 8“ ახდენს მის დისკრედიტაციას, აყენებს კლიენტების დაკარგვის საფრთხის წინაშე და მიუთითებს, რომ აღნიშნული წარმოადგენს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

1.2. მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით

სააგენტოს 2024 წლის 23 თებერვლის წერილით (რეგ. N02/621) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ ეკონომიკურ აგენტს, შპს „ნამი 8“-ს. აღნიშნული კორესპონდენცია მოპასუხეს გაეგზავნა როგორც ელექტრონულ ფოსტაზე, ასევე, მის რეგისტრირებულ მისამართზე ფოსტის მეშვეობით, თუმცა ვერ მოხერხდა წერილის მისამართზე ჩაბარება და მხარეს არც ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაუდასტურებია მისი მიღება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოსა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის 2022 წლის სექტემბერს დადებული მემორანდუმის ფარგლებში[2], კორესპონდენციის მოპასუხე ეკონომიკური აგენტისთვის ჩაბარების მიზნით, წერილი გაეგზავნა სსიპ შემოსავლების

[2] „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებაში 2022 წლის 6 სექტემბერს შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ თუ ამავე ბრძანების მე-4 პუნქტით დადგენილი წესით სააგენტო ვერ ახერხებს წერილობითი კორესპონდენციის ადრესატისთვის ჩაბარებას ან პირი უარს აცხადებს დოკუმენტაციის ჩაბარებაზე, სააგენტო უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს შესაბამისი თხოვნა, რის შემდეგაც შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით ადრესატისათვის დოკუმენტაციის გაგზავნას. შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად, ადრესატი მხარის მიერ დოკუმენტის გახსნის შემთხვევაში.

სამსახურს და მოხდა მისი ატვირთვა გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე, სადაც მოპასუხე წერილს გაეცნო 2024 წლის 5 მარტს[3].

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია (რეგ. N01/1558, თარიღი: 20.03.2024) განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

შპს „ნამი 8“ წერილობით პოზიციაში აღნიშნავს, რომ მასსა და მომჩივანს შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა (სასარჩელო წარმოება), რომლის ფარგლებშიც დავის საგანია განსაკუთრებული უფლების დამრღვევი ქმედების აკრძალვა. აღნიშნული სარჩელი სასამართლოს მიერ მიღებულია წარმოებაში. მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ შპს „ლოლუ გრუპისთვის“ ცნობილია შპს „ნამი 8“-ის მიერ წყლის დისპენსერებზე განსაკუთრებული უფლებების ფლობის შესახებ. შპს „ლოლუ გრუპის“ არარეგისტრირებული მფლობელები - ა. მ. და ი.კ. წარმოადგენდნენ შპს „ნამი 8“-ის ყოფილ თანამშრომლებს, რომელთაც მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან მუშაობის დასრულების შემდეგ დააფუძნეს კომპანია შპს „ლოლუ გრუპი“ და დაიწყეს ყოფილი დამსაქმებლის საქმიანობის სფეროში, მის კონკურენტად ოპერირება.

მოპასუხის მითითებით, ვინაიდან მათი მხრიდან ადგილი არ აქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, სააგენტოს მიერ უნდა შეწყდეს საჩივრის საფუძველზე წარმოება.

1.3. დამატებითი ინფორმაცია

1.3.1. მხარეებისგან დამატებით მიღებული ინფორმაცია

სააგენტომ საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე მომჩივანი და მოპასუხე მხარეებისგან გამოითხოვა ინფორმაცია[4], მათ შორის სასამართლოში მიმდინარე დავის დეტალები. მხარეების მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სასამართლოში შეტანილი სარჩელი და შესაგებელი[5], რომელთა მიხედვითაც, სასამართლო დავის მხარეებს წარმოადგენენ ერთი მხრივ, მოსარჩელეები - შპს „ნამი 8“ (ს/ნ 405514019) და , მეორე მხრივ, მოპასუხე - შპს „ლოლუ გრუპი“ (ს/ნ 404649635), ა. მ. და ი. კ. აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების დამრღვევი ქმედებების აკრძალვა. სამართლებრივ საფუძველს, რომელზეც მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ამყარებს, წარმოდგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლი (1-ელი და მე-2 პუნქტები).

ასევე, სააგენტოს მიერ მომჩივნისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა გავლენა იქონია შპს „ლოლუ გრუპსა“ და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობაზე მოპასუხე შპს „ნამი 8“-ის მიერ გაგზავნილმა „სარეკომენდაციო გაფრთხილებამ“[6].

---

[3] სსიპ შემოსავლების სამსახურიდან სააგენტოში შემოსული წერილი (სააგენტოში რეგ. N01/1314 (06.03.2024))
[4] სააგენტოს 2024 წლის 20 მარტის N02/1087 და N02/1086 წერილები
[5] სააგენტოში წარმოდგენილი N01/1588 (21.03.2024) და N01/1692 (26.03.2024) წერილები
[6] სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის N02/1184 წერილი

აღნიშნულის საპასუხოდ მომჩივანმა სააგენტოს წარმოუდგინა წერილობითი პასუხი[7], სადაც მიუთითებს, რომ მოპასუხე მიზანმიმართულად ცდილობს შპს „ლოლუ გრუპის“ რეპუტაციის შელახვას, კერძოდ, მოპასუხემ გაუგზავნა „სარეკომენდაციო გაფრთხილება“ მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. გარდა ამისა, შპს „ლოლუ გრუპის“ მოსაზრებით, კომპანია
რომელიც წარმოადგენდა მომჩივნის პარტნიორს, სწორედ შპს „ნამის 8“-ის ცილისმწამებულური კამპანიის გავლენით შეწყვიტა მომჩივანთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე მოლაპარაკებები და საბოლოოდ სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდა მოპასუხესთან. გარდა ამისა, მომჩივანი მიუთითებს, რომ
რომელიც ასევე მომჩივნის პარტნიორს წარმოადგენდა, მიიღო მოთხოვნა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, რის მიზეზადაც მომჩივანი უთითებს შპს „ნამი 8“-ის მიერ
სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლას. კიდევ ერთი პარტნიორი კომპანია, რომელმაც მომჩივანთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა განახორციელა, იყო
თითოეული ზემოთ აღნიშნული შემთხვევების მიზეზად
შპს „ლოლუ გრუპი“ უთითებს სწორედ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის, შპს „ნამი 8“-ის მიერ განხორციელებულ არაკეთილსინდისიერ ქმედებას - ცილისმწამებულური და არასწორი ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლებისთვის.

სააგენტომ დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია მომჩივანი შპს „ლოლუ გრუპისგან“ ზემოთ აღნიშნულ კომპანიების მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველთან დაკავშირებით და სთხოვა მომჩივანს დაეკონკრეტებინა, თუ რა მიზეზით შეწყდა მასსა და მის მიერ მითითებულ პარტნიორებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები[8]. აღნიშნულზე საპასუხოდ მომჩივანმა 2024 წლის 10 აპრილის N01/2090 წერილით სააგენტოს განუცხადა, რომ ვერბალური კომუნიკაციის გარდა ყოფილი პარტნიორებისგან არ მიუღია არანაირი ახსნა-განმარტება ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზზე, არამედ მხოლოდ ზეპირ საუბარში კომპანიების მხრიდან ასეთ მიზეზად გაჟღერებული იყო სწორედ ის ფაქტი, რომ მათ დაუკავშირდა „ნამი 8“ და მომჩივანი ეკონომიკური აგენტის „არაკეთილსინდისიერ“ ქმედებაზე მიაწოდა ინფორმაცია. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით სხვა რაიმე სახის ინფორმაცია ან/და მტკიცებულება მომჩივანს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია, თუმცა ზემოთ მითითებულ წერილშივე მომჩივანმა შპს „ლოლუ გრუპმა“ სააგენტოს სთხოვა შეხვედრის ორგანიზება მოპასუხის მიერ განხორციელებული კამპანიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/მტკიცებულებების წარმოდგენის მიზნით (კერძოდ, კომპანიების სია მათი საკონტაქტო პირების მითითებით, რომლებიც დაადასტურებენ თუ რა ინტენსივობით უკავშირდება შპს „ნამი 8“-ის სხვადასხვა წარმომადგენელი აღნიშნულ კომპანიებს და

[7] სააგენტოში წარმოდგენილი N01/1786 წერილი (29.03.2024)
[8] სააგენტოს 2024 წლის 2 აპრილის N02/1260 წერილი

ცდილობს მათ გადაბირებას)[9]. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2024 წლის 19 აპრილს, მომჩივანთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც შედგა სააგენტოს ოფიციალურ მისამართზე (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 154). აღნიშნულ შეხვედრაზე მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის გამართვა თავად მოითხოვა სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ვინაიდან მომჩივანის მხრიდან საკონსულტაციო შეხვედრაზე არ მომხდარა შესაბამისი ინფორმაციის/მტკიცებულების წარმოდგენა, სააგენტომ დამატებით შეხვედრის შემდგომ წერილობითი სახით სთხოვა[10] მომჩივანს სააგენტოსთვის წარმოედგინა მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია/მტკიცებულება იმ მომხმარებელთა შესახებ, რომელთა ინტერესებიც ილახებოდა ან შეიძლებოდა შელახულიყო შპს „ნამი 8"-ის ქმედებით (ე.წ. „სარეკომენდაციო გაფრთხილების" გაგზავნით).

მომჩივანმა სააგენტოს აღნიშნულ მოთხოვნაზე საპასუხოდ 2024 წლის 29 აპრილს წერილით (რეგ. N01/2443) წარმოადგინა მისი პარტნიორის/მომხმარებლის

წერილი, სადაც მითითებულია, რომ შპს „ნამი 8" აღნიშნული მომხმარებლის მიმართ ახორციელებდა აგრესიულ და აქტიურ კომუნიკაციას შპს „ლოლუ გრუპის" მადისკრედიტებელი ინფორმაციის გავრცელებით, რის გამოც

იძულებული გახდა მოეხდინა მოპასუხის მიერ მასთან გავრცელებული ინფორმაციის სამართლებრივი ანალიზი, რისთვისაც საჭირო გახდა ადამიანური და დროითი რესურსის დახარჯვა. კომპანია (მომხმარებელი) ასევე აცხადებს, რომ შპს „ნამი 8"-ის უსაფუძვლო ბრალდებების შესწავლის საფუძველზე დარწმუნდა, რომ მოპასუხის ქმედება ემსახურებოდა მხოლოდ იმ მიზანს, რომ მას შეეწყვიტა ხელშეკრულება შპს „ლოლუ გრუპთან". დამატებით, მომჩივანი N01/2443 წერილში მიუთითებს, რომ სააგენტოს 2024 წლის პირველ მაისამდე წარმოუდგენდა სხვა კომპანიების განცხადებებსაც, თუმცა მის მიერ 2024 წლის 2 მაისის 15:00 საათის მდგომარეობით აღნიშნულის წარმოდგენა არ მომხდარა.

1.3.2. მესამე პირებისგან მიღებული ინფორმაცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომჩივნის 2024 წლის 29 მარტის N01/1786 წერილში, ასევე, მითითებულ იქნა რამდენიმე მომხმარებლის (პარტნიორის) მონაცემები, რომლებმაც, შპს „ლოლუ გრუპის" განცხადებით, სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყვიტეს მომჩივანთან სწორედ შპს „ნამი 8"-ის კამპანიის გამო. აღნიშნული გარემოების სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სააგენტომ

[9] სააგენტოში წარმოდგენილი N01/2090 წერილი (10.04.2024)
[10] სააგენტოს 2024 წლის 19 აპრილის N02/1602 წერილი

გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა საფუძვლით შეწყდა აღნიშნულ კომპანიებსა და შპს „ლოლუ გრუპს“ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები, კერძოდ, არსებობდა დამოუკიდებელი გადაწყვეტილება კომპანიების მხრიდან, თუ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია შპს „ნამი 8“-ის მხრიდან კომუნიკაციამ[11].

ზემოთ აღნიშნული კომპანიების მიერ დასახელებულ იქნა სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის საფუძვლები, რომელთაგან არცერთი არ უკავშირდება მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ ე.წ. „სარეკომენდაციო გაფრთხილების“ შინაარსს[12]. კერძოდ, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზად ერთ შემთხვევაში დასახებულ იქნა უფრო ბიუჯეტური კომერციული შეთავაზება (იდენტური მომსახურების პირობებში), მეორე შემთხვევაშიც პარტნიორი კომპანია უთითებს მომსახურების არახელსაყრელ პირობებს. მესამე კომპანიის შემთხვევაში, ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზად დასახელებულ იქნამომსახურების მიღების საჭიროების არარსებობა, კერძოდ, ამ კომპანიამ თავად შეიძინა წყლის დისპენსერები, რის გამოც მას აღარ ესაჭიროებოდა მომჩივნის ან მისი რომელიმე კონკურენტის მხრიდან მომსახურების მიღება. შესაბამისად, მომჩივნის მიერ წარმოდგენილ, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის დოკუმენტში მითითებული ყოფილი პარტნიორი კომპანიებიდან არცერთი არ მიუთითებს, თუნდაც ირიბად, კონკურენტი მოპასუხე კომპანიისაგან, კერძოდ, შპს „ნამი 8-ის“ მხრიდან რაიმე სახის ზეგავლენაზე.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე .

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის 11^3 მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

[11] სააგენტოს 2024 წლის 2 აპრილის N02/1261, N02/1262 და N02/1263 და 2024 წლის 3 აპრილის N02/1286 წერილები

[12] სააგენტოში შემოსული N01/1875 (03.04.2024), N01/1880 (03.04.2024), N1889 (03.04.2024), N01/1903 (03.04.2024) და N01/2048 (08.04.2024) წერილები

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;
ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;
გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;
დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;
ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;
ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;
ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის

მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით მომჩივნის მიერ დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარმოდგენამდე საჩივრის მატერიალური დასაშვებობისა და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობის დადგენილი ვადის დინება შეჩერებულად ითვლება, ხოლო მომჩივნის მხრიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ხსენებული ვადის დინების განახლების საფუძველია. პროცედურის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ასევე, პროცედურის მე-11 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება: ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა; ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება; გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება; ხოლო მე-12 მუხლის ადგენს ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგებს.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ

და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, არგუმენტები და მტკიცებულებები. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნულის შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და მისი გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მის ხელთა არსებული ინფორმაციის/მტკიცებულებები ყოველმხრივი ანალიზის შედეგად, განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია, შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენა. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება

საჩივრის დასაშვებობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშველობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების სამართლებრივ განმარტებას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება არ არის გონივრული[13]. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება[14].

აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი (actori incumbit probatio). მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს. საკითხის განხილვა (მათ შორის საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზეც) მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ცვლის სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პირობებში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების ფარგლებსა და მოცულობას. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლების ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ სააგენტო უარს ამბობს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების

[13] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11-12

[14] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ. https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TC0024

მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის ფუნდამენტურ ვალდებულებაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სააგენტო შეისწავლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, თუმცა შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრულ ჩარჩოში, მათ შორის, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობაზე მსჯელობის ნაწილშიც.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში საქმის მოკვლევის დასაწყებად მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) შემადგენლობაში. აღნიშნული გონივრული ეჭვის არსებობისთვის კი უმნიშვნელოვანესია საჩივარი იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდეს მასში მითითებულ გარემოებებს. ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. სააგენტომ უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გაანალიზოს მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მისი ანალიზის საფუძველზე იმსჯელოს კანონის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტის არსებობაზე. ამასთან, სააგენტოსთვის, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოსთვის, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული რესურსის სწორად, ეფექტიანად და ეფექტურად მობილიზება ამ პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის. შესაბამისად, გონივრული ეჭვის სტანდარტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში, რაც, თავის მხრივ, სააგენტოს ანიჭებს გარკვეული ტიპის დისკრეციულ უფლებამოსილებას საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების/არდაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

3.2. შეფასება 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

საჩივრის ავტორი მიუთითებს კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე („ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია“).

კანონის 11^3 მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც **ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს.** შესაბამისად, კანონის 11^3 მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

i. ქმედება

ii. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
iii. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
iv. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

შესაბამისად, დასაშვებადობის ეტაპზე უნდა დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს გონივრული და დასაბუთებული ეჭვი აღნიშნული ოთხი კუმულატიური პირობის მიმართ, რამეთუ რომელიმე მათგანის მიმართ შესაბამისი გონივრული ეჭვის გამორიცხვის შემთხვევაში გამოირიცხება მთლიანად კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული ქმედების მიმართ გონივრული ეჭვი.

ქმედებად განიხილება ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა[15].

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

[15] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას. ამდენად, კონკურენციის კანონმდებლობა მომხმარებლად მიიჩნევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა, კერძოდ, 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა „შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც ამ დირექტივით გათვალისწინებულ კომერციულ პრაქტიკაში მოქმედებს მისი სავაჭრო, ბიზნეს, სახელოსნო ან პროფესიული ინტერესების გარეთ“ (მუხლი 2(a)).

წინამდებარე საქმის დასაშვებობის შესწავლის მიზნებისთვის სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს ზემოთ ჩამოთვლილი კუმულატიური ელემენტებიდან ერთ-ერთზე - „მომხმარებელთა ინტერესების შელახვაზე“.

გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივანი თავად მიუთითებს საკუთარ მომხმარებლებზე/პარტნიორებზე

სააგენტო ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვისას შეაფასებს აღნიშნული კომპანიების (მომხმარებლების) ინტერესების შელახვის არსებობა/არარსებობის საკითხს, ვინაიდან ეს კომპანიები წარმოადგენენ/წარმოადგენდნენ მომჩივნის პარტნიორებს და მოპასუხის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის სავარაუდო ფაქტს სწორედ მათ ინტერესებზე უნდა ჰქონოდა უარყოფითი ზეგავლენა.

მომჩივანი განიხილება მხარედ და ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება პირველ რიგში ეკისრება სწორედ მომჩივანს.

უშუალოდ მომჩივანის მიერ მითითებული მომხმარებლებისგან

სააგენტომ თავადაც გამოითხოვა ინფორმაცია მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში და მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ შპს „ლოლუ გრუპსა“ და მის პარტნიორებს

შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა ჩვეული კომერციული პრაქტიკის ფარგლებში, ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. სააგენტოს მიერ მესამე პირებისგან გამოთხოვილი და მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ მომხმარებლებმა საკუთარი

არჩევანის საფუძველზე ჩვეულებრივი კომერციული ურთიერთობების ფარგლებში შეწყვიტეს მომჩივანთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა და მოპასუხის მიერ კომპანიებთან გაგზავნილი წერილის შინაარსს გავლენა არ მოუხდენია მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საჩივრის მატერიალური დასაშვებობის შესწავლის ფარგლებში გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია, რომ სააგენტოს ხელთ ჰქონდეს სარწმუნო მტკიცებულება იმისა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. ასეთი მტკიცებულება კი მოცემულ საქმეში არ არსებობს. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს ევროპული სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც როდესაც საქმე ეხება კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის დადგენას, კონკურენციის ორგანომ დარღვევა უნდა დაადგინოს ისეთ მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დარღვევის არსებობის სამართლებრივი წინაპირობები დააკმაყოფილოს[16]. შესაბამისად, სააგენტო აღნიშნავს, ერთი მხრივ, აუცილებელია კონკურენციის კანონმდებლობის მიზნების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ ამასთან ერთად უნდა მოხდეს საქმეში არსებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების სრულყოფილად შესწავლა და მაღალი სტანდარტით შეფასება გონივრული ეჭვის დასადგენად.

დამატებით, სააგენტო მიუთითებს, რომ თითოეულ მომხმარებელს უნდა შეეძლოს ყოველგვარი ზეწოლისა და გავლენის მოხდენის მცდელობის გარეშე, თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე, რეალური ინფორმაციის პირობებში, შეთავაზებული პროდუქტებიდან აირჩიოს მისთვის სასურველი პროდუქტი/მომსახურება.

აღნიშნულ საქმეში, მომჩივანისვე განმარტებით, მომჩივნისა და მოპასუხის, როგორც სამეწარმეო სუბიექტების მომხმარებლებს წარმოადგენენ კომპანიები, რომლებიც იძენენ წყლის დისპენსერებით მომსახურებას[17].

აღნიშნული კომპანიებისთვის წერილით მიწოდებული ინფორმაცია მომჩივანთან დაკავშირებით შინაარსობრივად შეეხება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ სადავო საკითხს[18] და მოპასუხის მიერ გაჟღერებული ინფორმაციაც დაკავშირებულია და უშუალოდ გამომდინარეობს მოპასუხის მიერ წარდგენილი სარჩელიდან. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია, რომ მხარეებს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა და შპს „ნამი 8“ მიიჩნევს, რომ მომჩივანი არღვევს მის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, მომხმარებლებს მიეწოდათ, როგორც მოპასუხის სასარჩელო პოზიცია და მომხმარებლის, (ანუ კომპანიების, რომლებიც

[16]იხ. საქმე C-185/95 P,ECLI:EU:C:1998:608, პარ. 58; ასევე, C-49/92 P,ECLI:EU:C:1999:356, პარ. 86

[17] მომჩივანთან 2024 წლის 19 აპრილს გამართული საკონსულტაციო შეხვედრის აუდიო ჩანაწერი 23:10-23:17 წუთები

[18] იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 25 აგვისტოს N 04/573 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება

აქტიურად ჩართულნი არიან სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაში და გაცნობიერებულნი არიან სასამართლო დავის არსში) მიერ ვერ იქნებოდა აღქმული როგორც დადასტურებული და უტყუარი ფაქტი. შესაბამისად, მომხმარებელი კომპანიებისათვის წერილის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობდა, რომ საქმე შეეხებოდა სადავო გარემოებას, რომელიც ჯერ არ იყო გადაწყვეტილი და რომლის მიმართაც მიმდინარეობდა სასამართლოს წარმოება და შეფასება. აქედან გამომდინარე, კონკრეტული პირის მიერ კანონით მინიჭებული უფლების დაცვის საშუალებების გამოყენება და ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება თავისთავად ვერ განიხილება, როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება.

აქედან გამომდინარე, მოცემულ საქმეში მომხმარებლის გადმოსახედიდან, შპს „ნამი 8"-ის მიერ წერილის გაგზავნა ვერ ჩაითვლება მხარეების აღნიშნულ მომხმარებლებზე ზეგავლენის მოხდენის ძალის მქონე ქმედებად. რაც შეეხება მომჩივნის მიერ წარმოდგენილ წერილს, თავად ეს კომპანიაც იმას აღნიშნავს, რომ მას წერილის მიღების მიუხედავად არ შეუწყვეტია სახელშეკრულებო ურთიერთობა მომჩივანთან, შესაბამისად აღნიშნულიც არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ ილახება მომხმარებლის ინტერესები ან მიწოდებულმა ინფორმაციამ ზეგავლენა მოახდინა მის არჩევანზე კონტრაქტორი კომპანიის არჩევასთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ქმედებას არ შეუზღუდია მომჩივანის მიერ მითითებული მომხმარებელი კომპანიების არჩევანი.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება ფაქტის მტკიცების ტვირთი. გარდა იმისა, რომ აღნიშნულს ეფუძნება მომჩივანის პრეტენზია, შეჯიბრებითობაში მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომ ამტკიცებს ის, ვინც უთითებს. მომჩივანს სააგენტოსათვის არაერთი დაპირების მიუხედავად არ მოუწოდებია სხვა მომხმარებლების მიმართ ინტერესების შელახვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც, შესაძლოა, გამხდარიყო კანონდარღვევის გონივრული ეჭვის საფუძველი.

მომჩივნის მიერ, დასაშვებობის ეტაპზე წარმოდგენილი ინფორმაციით/მტკიცებულებებით ვერ ხდება მომხმარებლის ინტერესების შელახვის გონივრული ეჭვის არსებობის დადასტურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების და დამატებით მოძიებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების შედეგად, კერძოდ, ვინაიდან არც მხარის (მომჩივნის) მიერ არ იქნა შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი და ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში სააგენტოს მიერ გამოთხოვილი და მიღებული ინფორმაციითაც არ დადასტურდა მომხმარებელთა ინტერესის შელახვა. სააგენტო მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ იკვეთება მომხმარებელთა ინტერესების შელახვა. შესაბამისად, აღნიშნული მოცემულობა

არ შეესაბამება კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას, რადგან სახეზე არ არის კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი აუცილებელი პირობა - „მომხმარებელთა ინტერესების შელახვა“.

სააგენტოს შეფასებით, ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, აღარ დგას მომჩივნის მხრიდან სადავოდ გამხდარი, კონკრეტული ქმედების შეფასების საჭიროებაც, ვინაიდან კანონის 11^3 მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ზემოხსენებული ელემენტის არარსებობა უკვე შეუძლებელს ხდის ამ ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონტექსტში განხილვას და შეფასებას.

3.3. შუალედური დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოს მიერ შესწავლილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის 11^3 მუხლთან მიმართებით მომჩივანმა მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა შესაბამისი გონივრული ეჭვის სტანდარტი, გარდა ამისა, სააგენტოს მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე გამოთხოვილი და დამუშავებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შედეგად არ წარმოიშვება გონივრული ეჭვი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჩივრის

ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შპს „ლოლუ გრუპის“ (ს/ნ: 404649635) 2024 წლის 21 თებერვლის N01/1021 საჩივარი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე